

**ჰიდრაზინების და ტრიაზინების ზოგიერთი ახალი ქირალური ნაწარმის ენანტიომერების დაყოფა სითხურ ქრომატოგრაფში პოლისაქარიდული ბუნების ქირალური სვეტების გამოყენებით.**

*მარიამ შანიძე<sup>1</sup>, რუსუდან კაკავა<sup>1</sup>, ალესანდრო ვოლონტერიო<sup>2</sup>, ბეჟან ჭანკვეტაძე<sup>1</sup>*

*<sup>1</sup>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრა, თბილისი, საქართველო*

*<sup>2</sup>მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ჯულიო ნატას სახელობის ქიმიის, მასალების და ქიმიური ტექნოლოგიის დეპარტამენტი, მილანი, იტალია*

ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ ახალი აზოტშემცველი ქირალური ნაერთების (ჰიდრაზინისა და ტრიაზინის ნაწარმების) ენანტიომერების დაყოფა მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფში. ქირალურ სელექტორებად გამოვიყენეთ ცელულოზას და ამილოზას ნაწარმები, ხოლო მოძრავ ფაზად შერჩეული იქნა მეთანოლი. 12 საკვლევი ნივთიერება გავხსენით მეთანოლში და ჩავატარეთ რაცემული ნერეგების სკრინინგი, რომლის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნები, რომ საკვლევი ნივთიერებების ენანტიომერების დაყოფის ყველაზე მაღალი უნარით ხასიათდება Lux Cellulose-4 სვეტი (ცელულოზა ტრის(4-ქლორ-3-მეთილფენილკარბამატი)), ხოლო ენანტიომერების დაყოფის ყველაზე დაბალ უნარს ავლენს სვეტი iSP9B-3-final (Lux i-Amylose-1), რომლის ქირალური სელექტორია ამილოზა ტრის(3,5-დიმეთილფენილკარბამატი).